



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ფასს 9 - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის სახელმძღვანელო

მარტი

2018

სარჩევი

აბრევიატურები	3
შესავალი	4
მუხლი 1. ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალის შეფასების მიდგომები.....	6
მუხლი 2. ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემები საკრედიტო რისკის შეფასებისა და მონიტორინგისთვის.....	7
მუხლი 3. საკრედიტო ზარალის მაპროვოცირებელი მოვლენები და მათი გამოყენება.....	8
მუხლი 4. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო რისკის პოზიციები და მათი საკრედიტო ზარალის შეფასება.....	15
მუხლი 5. საკრედიტო ზარალის ინდივიდუალური შეფასება.....	15
შეფასების ზღვარი.....	15
12 თვიანი ECL-ს გამოანგარიშება (1-ლი სტადიის ზარალი)	16
რისკის პოზიციის შემოწმება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დასაფიქსირებლად	17
რისკის პოზიციების ტესტირება გაუფასურების დასადგენად	18
მუხლი 6. სესხების კოლექტიური შეფასება.....	20
მუხლი 7. უზრუნველყოფის შეფასება	27
მუხლი 8. საპროგნოზო ინფორმაცია	28
მუხლი 9. გაუფასურების მეთოდოლოგიის მიმოხილვა	30
მუხლი 10. ხელმძღვანელობის მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	31
მუხლი 11. საპროცენტო შემოსავალი	31
მუხლი 12. ცვლილებები	32
მუხლი 13. ჩამოწერები	33
მუხლი 14. გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები	34

აბრევიატურები

ამ სახელმძღვანელოში გამოყენებულია შემდეგი აბრევიატურები

- სეზ - საქართველოს ეროვნული ბანკი.
- ფასს - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS).
- ბასს - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS).
- ECL (Expected Credit Loss) - მოსალოდნელი ფინანსური ზარალი.
- BCBS – Basel Committee on Banking Supervision, ბანკების ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი.
- EBIT - მოგება საპროცენტო ხარჯების და გადასახადების გადახდამდე.
- EBITDA -მოგება საპროცენტო ხარჯების, გადასახადების გადახდის, ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯების გარეშე.
- PD – Probability of default, დეფოლტის ალბათობა.
- EAD - Exposures at default, დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია.
- LGD - Loss Given Default, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში.
- PTI – Payment to Income, გადახდების ფარდობა შემოსავალთან/
- LTV – Loan to Value, სესხის ფარდობა უზრუნველყოფის ღირებულებასთან.
- HHI – ჰერშმან ჰირშმანის კონცენტრაციის ინდექსი, Herfindhal-Hirschman Index.

შესავალი

1. ეს სახელმძღვანელო ფინანსური ინსტიტუტებისთვის იძლევა მითითებებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9-ის (ფასს 9-ის) გამოყენებასთან დაკავშირებით. სახელმძღვანელო გამოცემულია იმისთვის, რომ უზრუნველყოს ფასს 9-ის საერთო, თანაბარი და თანმიმდევრული გამოყენება და დააფუძნოს თანმიმდევრული დაეფექტიანი საზედამხებელო პრაქტიკა. ეს სახელმძღვანელო გამიზნულია კომერციული ბანკებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სხვა ფინანსური ინსტიტუტებისათვის (შემდგომში „ფინანსური ინსტიტუტები“), თუმცა აგრეთვე მივესალმებით ამ ნორმების გამოყენებას სხვა დაწესებულებების მიერ. სახელმძღვანელოს პრინციპები ძირითადად განკუთვნილია ფინანსური ინსტიტუტებისთვის მათი სასესხო პორტფელების მიმართ გამოსაყენებლად; აღნიშნულის მიუხედავად, ფინანსურ ინსტიტუტებს შეუძლიათ ამ სახელმძღვანელოს ბევრი დებულების გამოყენება სხვა სავალო ინსტრუმენტების და მოთხოვნების მიმართ(სავალო ფასიანი ქაღალდები, დეპოზიტები და ა.შ.), რომლებიც ფასს 9-ის მიხედვით შეფასებულია ან ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.
2. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით, რომელიც ანაცვლებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასებას („ბასს 39“) 2018 წლის 1 იანვრიდან, გაუფასურების ზარალის რეზერვები უნდა ეფუძნებოდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ECL(ECL) აღრიცხვის მოდელს და არა დამდგარი ზარალის აღრიცხვის მოდელს.
3. ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო რისკების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საპროგნოზო ინფორმაციის ანალიზს. კერძოდ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მაკროეკონომიკური და ფინანსური ფაქტორების ანალიზი, მოსალოდნელი ტენდენციები და რისკები. საქართველოს ეროვნული ბანკი მიესალმება აღნიშნულ ცვლილებას და თვლის, რომ იგი ხელს შეუწყობს საკრედიტო რისკების დროულ აღრიცხვას და ამდენად პოზიტიური გავლენა ექნება ფინანსურ სტაბილურობაზე. კერძოდ, ფასს 9-ის ფარგლებში, სესხების საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილება, მოსალოდნელია, რომ შეამცირებს ფინანსური ინსტიტუტების პროციკლურ ქცევას. საკრედიტო ზარალის რეზერვი დაგროვდება ეკონომიკური ციკლის აღმასვლის ფაზაში,

რომელიც შეამცირებს ზარალის აღიარებას ეკონომიკური ციკლის დაღმავალ ფაზაში.

4. ფასს 9-ის ფარგლებში ფინანსური ინსტიტუტების მიერ ანგარიშგების გამჭვირვალედ, თანმიმდევრულად და ეფექტიანად წარმოებისთვის და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ფინანსური ანგარიშგებების შედარებითობის უზრუნველსაყოფად, სებ-ი რეგულარულად გამოაქვეყნებს მაკროეკონომიკურ საპროგნოზო სცენარებს.
5. 2015 წლის დეკემბერში საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა (შემდგომში „ბაზელის კომიტეტი“ ან „BCBS“) გამოცა საზედამხედველო სახელმძღვანელო საკრედიტო რისკისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის შესახებ (BCBS სახელმძღვანელო). სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ არსებული საზედამხედველო მოლოდინები საკრედიტო რისკის პრაქტიკის მხრივ, რომელიც დაკავშირებულია ECL აღრიცხვის მოდელის დანერგვასა და მის შემდგომ გამოყენებასთან. ეს სახელმძღვანელო, რომელიც ძირითადად ეფუძნება ბაზელის კომიტეტის სახელმძღვანელოს, საკრედიტო ინსტიტუტებისთვის უზრუნველყოფს საკრედიტო რისკის მართვის პრაქტიკას, რომელიც დაკავშირებულია ECL ბუღალტრული მოდელების დანერგვასა და შემდგომ გამოყენებასთან.
6. სახელმძღვანელოს მიზანია შეავსოს და არა ჩაანაცვლოს ფასს 9. სახელმძღვანელო შემუშავებულია იმგვარად, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს ფასს 9-ის მოთხოვნებს. აღნიშნულის მიუხედავად, სახელმძღვანელოსა და ფასს 9-ს შორის წინააღმდეგობების აღმოჩენის კონკრეტულ შემთხვევაში ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა იხელმძღვანელონ ფასს 9-ით, ამასთან, სებ-ს უნდა მიაწოდონ წინააღმდეგობის არსებობასთან დაკავშირებული მყარი დასაბუთება.
7. სახელმძღვანელო გამოყენებულ უნდა იქნას, ფინანსური ანგარიშგების მომზადების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მატერიალურობის დონის კრიტერიუმების კონტექსტში. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ამ სახელმძღვანელოს ნებისმიერი დებულება შეიძლება უგულებელყოფილ იქნას, თუ შესაძლებელია მისი არამატერიალური ეფექტის ცხადად დასაბუთება.

მუხლი 1. ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალის შეფასების მიდგომები

ფასს 9-ის მიხედვით გაუფასურების რეზერვის გამოთვლისას მოითხოვება მოსალოდნელი ზარალის მიდგომის გამოყენება. მისი წინამორბედი ბასს 39-გან განსხვავებით, სტანდარტის ძირეული პრინციპი გაუფასურების მიმართ ის არის, რომ გაუფასურების რეზერვი აღიარდება მანამდე, სანამ ზარალი სინამდვილეში დადგება. ზარალები აღიარდება აქტივის სრული არსებობის განმავლობაში, მიუხედავად აქტივის საკრედიტო ხარისხის გაუარესებისა. თუმცა საკრედიტო ხარისხის გაუარესება იწვევს ზარალის აღიარების მიდგომისა და მოცულობის ცვლილებას. შესაბამისად, სტანდარტი განასხვავებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შემდეგ ტიპებს:

- ა) 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (12 თვიანი ECL) - ეს ზარალი აღიარდება იმ აქტივებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის 12 თვიანი ECL-ს ეწოდება 1-ლი სტადიის ზარალი და შესაბამის რისკის პოზიციებს¹ ეწოდება 1-ლი სტადიის რისკის პოზიციები;
- ბ) ECL არსებობის მანძილზე - ეს ზარალი აღიარდება იმ აქტივებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის ECL-ს არსებობის მანძილზე ეწოდება მე-2 სტადიის ზარალი და შესაბამის რისკის პოზიციებს ეწოდება მე-2 სტადიის რისკის პოზიციები;
- გ) საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივების ზარალი - აღნიშნული წარმოადგენს ფინანსურ აქტივზე უკვე დამდგარ ზარალს. სტანდარტი ცალსახად არ განასხვავებს ამ ზარალს ECL-გან არსებობის მანძილზე, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ზარალი უკვე დადგა და მისი გამოთვლის გზა განხვავდება მომავალში მოსალოდნელი ზარალის გამოთვლის გზისგან, ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის ამ ზარალს ეწოდება მე-3 სტადიის ზარალი და შესაბამის რისკის პოზიციებს ეწოდება მე-3 სტადიის რისკის პოზიციები.

¹ ამ სახელმძღვანელოში რისკის პოზიცია და სესხი ხშირად ერთმანეთის ჩამნაცვლებელ ტერმინებად გამოიყენება. ზოგადად, რისკის პოზიცია უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს ფინანსური ინსტიტუტის ყველა მოთხოვნას, რომელსაც აქვს საკრედიტო რისკი.

მუხლი 2. ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემები საკრედიტო რისკის შეფასებისა და მონიტორინგისთვის

1. ფინანსური ინსტიტუტის სასესხო პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასების პროცესი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ფინანსურ ინსტიტუტს ჰქონდეს ყველა აუცილებელი საშუალება, პროცედურა და დაკვირვებადი მონაცემები, საკრედიტო რისკის შეფასების, საკრედიტო ზარალების ბუღალტრული აღრიცხვისა და საზედამხედველო მოთხოვნების განსაზღვრისთვის.
2. ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო რისკის მონიტორინგის სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს ფუნდამენტურ მოთხოვნებს და უნდა მოიცავდეს პროცედურებსა და საშუალებებს საკრედიტო რისკის ზუსტი შეფასებისთვის. აღნიშნული ფუნდამენტური მოთხოვნები, პროცედურები და საშუალებები თანაბრად მნიშვნელოვანია საკრედიტო რისკის შეფასების, ბუღალტრული აღრიცხვისა და საზედამხედველო ანგარიშგებისთვის. შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ საკრედიტო რისკის შეფასებისას საერთო ელემენტებს სამივე მიზნით. აღნიშნული იძლევა ერთი და იმავე სისტემების გამოყენების საშუალებას საკრედიტო რისკის შეფასების, ბუღალტრული აღრიცხვისა და საზედამხედველო ანგარიშგების მიზნებისათვის. ერთიანი სისტემები ხელს უწყობენ შედეგობრივი მაჩვენებლების სანდოობას და თანამიმდევრულობას, მინიმუმამდე ამცირებენ ზარალის არასწორად გაანგარიშების პოტენციურ რისკებს, რაც განპირობებულია გაანგარიშების რამდენიმე პრაქტიკის არსებობით. ზოგადად, მონაცემთა საერთო ტიპები, რომლებიც გამოიყენება შეფასებისა და ღირებულების დადგენის პროცესში, მოიცავს საკრედიტო რისკის რანგებს, ზარალის ისტორიულ განაკვეთებს, სესხების დასაჯგუფებლად გამოყენებულ მახასიათებლებს კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის და დაკვირვებად მონაცემებს, რომლებიც გამოიყენება საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის ან ზარალის ისტორიული განაკვეთების შესასწორებლად და სხვა.

მუხლი 3. საკრედიტო ზარალის მაპროვოცირებელი მოვლენები და მათი გამოყენება

1. ფასს 9-ის: „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიხედვით საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს:

- ა) გაიზარდა თუ არა რისკის პოზიციის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად თავდაპირველი აღიარების მომენტიდან;
- ბ) არის თუ არა რისკის პოზიცია საკრედიტო რისკით გაუფასურებული (როდესაც მომხდარია ერთი ან რამდენიმე მოვლენა, რომლებსაც ჰქონდათ საზიანო გავლენა ფინანსური აქტივის შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე).

საკრედიტო რისკის ზრდის მნიშვნელოვნების შეფასებისას, ფასს 9-ის მიხედვით, საწარმომ უნდა გამოიყენოს დეფოლტის რისკის ცვლილება აქტივის მოსალოდნელი არსებობის განმავლობაში. სხვა სიტყვებით, ერთმანეთს უნდა შედარდეს დეფოლტის რისკი ანგარიშგების თარიღში და დეფოლტის რისკი თავდაპირველი აღიარებისას. შეფასების მომენტში საწარმომ უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული და ღირებული საპროგნოზო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე. საპროგნოზო ინფორმაციის შესახებ მეტი დეტალებისათვის იხილეთ მუხლი 8.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივების განმარტება მოიცავს იმ მოვლენების არასრულ სიას, რომლებიც მიუთითებენ, რომ საკრედიტო ზარალი, შესაძლოა, დამდგარია. სტანდარტი აგრეთვე მიუთითებს, რომ შესაძლოა, არ იყოს შესაძლებელი ცალკეული ზარალის გამომწვევი მოვლენის აღმოჩენა და რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო გაუფასურება, შესაძლოა, გამოეწვიოს რამდენიმე მოვლენის კომბინირებულ ეფექტს. ეს განმარტება არსებითად არ განსხვავდება ბასს 39-ის: „ფინანსური ინსტრუმენტები, აღიარება და შეფასება“ გაუფასურებული აქტივის განმარტებისგან, რომლის მიხედვითაც აქტივი გაუფასურებულია და გაუფასურების ზარალი დამდგარია, თუ არსებობს გაუფასურების „ობიექტური მტკიცებულება“ ერთი ან მეტი მოვლენის („ზარალის გამომწვევი მოვლენა“) შედეგად, რომელიც მოხდა მას შემდეგ რაც რისკის პოზიცია წარმოიშვა და რომელსაც გავლენა აქვს სესხის შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა შეფასებაც შესაძლებელია საიმედოდ.

2. ფინანსურმა ინსტიტუტმა საკრედიტო რისკის პოზიციები გონივრულად უნდა შეაფასოს როგორც საკრედიტო რისკის ზრდის მნიშვნელოვნების კუთხით, ისე იმ კუთხით, თუ რამდენად არის რისკის პოზიცია საკრედიტო რისკით გაუფასურებული. ამ უკანასკნელისათვის უნდა ჩამოყალიბდეს ადეკვატური მაპროვოცირებელი მოვლენები. ეს უკანასკნელი შესაძლოა უკვე მომხდარი, ან შესაძლოა მოხდეს მომავალში. მაპროვოცირებლები უნდა მოიცავდეს მაგრამ არ უნდა შემოიფარგლებოდეს შემდეგით:

ა) ზოგადი მაპროვოცირებელი მოვლენები ყველა ტიპის მსესხებლისთვის:

- i. კონკრეტული მსესხებლისთვის ან მსესხებელთა ჯგუფისთვის რელევანტური მაკროეკონომიკური პერსპექტივის გაუარესება. საპროგნოზო ინფორმაციის, მათ შორის მაკროეკონომიკური ფაქტორების, გამოყენებასთან დაკავშირებული დამატებით გასათვალისწინებელი საკითხებისთვის იხილეთ მუხლი 8;
- ii. კონკრეტული მსესხებლისთვის ან მსესხებელთა ჯგუფისთვის რელევანტური საზედამხედველო, პოლიტიკური და ტექნოლოგიური პერსპექტივების გაუარესება;
- iii. მსესხებლის სექტორისა თუ ინდუსტრიის პირობების არახელსაყრელი ცვლილებები;
- iv. ფინანსური ინსტიტუტის მსგავსი პროდუქტების შიდა ფასის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ცვლილება, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთის ზრდა, მინიმალური უზრუნველყოფის მოთხოვნის ზრდა და სხვა.
- v. ჯგუფში შემავალი სხვა მსესხებლების რისკის პოზიციების საკრედიტო რისკით გაუფასურება ან საკრედიტო რისკით გაუფასურებულად დარჩენა;

ბ) კონკრეტული მაპროვოცირებლები ბიზნეს მსესხებლების მიმართ არსებული რისკის პოზიციებისათვის:

- i. დეფოლტი, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება ან კონტრაქტის პირობების დარღვევა (მათ შორის „კოვენანტების“ დარღვევა);
- ii. გარესაბაღანსო ვალდებულებების გამოთხოვა (ნებისმიერი ტიპის) რაც არ იყო წინასწარ მოსალოდნელი და არ იყო წინასწარ განსაზღვრული საკრედიტო პროექტის მიხედვით;

- iii. სესხის ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტად;
- iv. რისკის პოზიციის რესტრუქტურიზაცია (სებ-ის კლასიფიკაციის მიხედვით);
- v. სესხის გადაყვანა ან დატოვება შემდეგ კლასებში: „საყურადღებო“, „არასტანდარტული“, „საეჭვო“ ან „უიმედო სესხები“ როგორც ეს განსაზღვრულია სებ-ის მიერ;
- vi. ფინანსური ინსტიტუტის (ან საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოს) შეფასებით მსესხებლის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება;
- vii. სამართლებრივი დავის წამოწყება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფულის მნიშვნელოვანი გადინება;
- viii. მონოპოლისტურ ან ოლიგოპოლისტურ ბაზრებზე ახალი კონკურენტის გაჩენა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ბაზრის წილის დაკარგვა;
- ix. თაღლითობა მსესხებლის ბიზნესში;
- x. ბიზნესის კრიტიკული ნაწილის ან ისეთი ქონების გაყიდვა, რომელიც აუცილებელია საწარმოს მოგების მომტანი ყოველდღიური აქტივობებისთვის;
- xi. მსესხებლის მიერ ფინანსური ინფორმაციის მოწოდების მნიშვნელოვანი დაგვიანება;
- xii. მმართველობის ზედა რგოლში ბოლო დროს მომხდარი ხშირი ცვლილებები;
- xiii. ვალის მომსახურების კოეფიციენტი <1 (ზოგიერთი ინდუსტრიისთვის შესაძლოა უფრო მაღალი ლიმიტი იყოს საჭირო);
- xiv. მსესხებლის ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება (ბიზნესის სეზონურობის გათვალისწინებით), რაზეც მიაწინებს:
 - 1. პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (EBIT/საპროცენტო ხარჯი) <2.5
 - 2. ვალი / EBITDA >3.5
 - 3. საკუთარი კაპიტალი/აქტივები $<30\%$
 - 4. გაყიდვების მნიშვნელოვანი შემცირება;
 - 5. უარყოფითი საოპერაციო ფულადი ნაკადების შენარჩუნება;
 - 6. მსხვილი კლიენტის დაკარგვა;
 - 7. მსხვილ მომწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტა;
 - 8. ლიკვიდობის გაუარესება;

9. მომგებიანობის გაუარესება;

10. სხვა

გ) სპეციფიკური მაპროვოცირებლები ფიზიკური პირების შემთხვევაში:

- i. სესხის ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტად;
- ii. სესხის გადაყვანა ან დატოვება შემდეგ კლასებში: „საყურადღებო“, „არასტანდარტული სესხები“, „საეჭვო სესხები“ ან „უიმედო სესხები“ როგორც ეს განსაზღვრულია სებ-ის მიერ;
- iii. ფინანსური ინსტიტუტის შეფასებით მსესხებლის საკრედიტო ქულის გაუარესება;
- iv. რისკის პოზიციის რესტრუქტურირება (სებ-ის კლასიფიკაციის მიხედვით);
- v. მსესხებლის მხრიდან სესხის მომსახურების უნარის შემცირება, რაზეც მიაწინებს გადასახდელი თანხისა და შემოსავლის თანაფარდობა;
- vi. სამართლებრივი დავის წამოწყება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფულის მნიშვნელოვანი გადინება;
- vii. მსესხებლის მიერ სამსახურის დაკარგვა;
- viii. მსესხებლის გარდაცვალება;

დ) სპეციფიკური მაპროვოცირებლები დამწყები ბიზნესებისთვის, ზემოთ ჩამოთვლილის დამატებით:

- i. პროექტის გეგმის შესრულებისგან ჩამორჩენა;
- ii. პროექტის შესრულებადობასთან და დასრულებასთან დაკავშირებით ეჭვის გაჩენა;

3. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მაპროვოცირებლების მოხდენის ფაქტი (ინდივიდუალურად ან კოლექტიურად) არ იწვევს რისკის პოზიციის II ან III სტადიაზე გადასვლას, რისკის პოზიცია მაინც უნდა შემოწმდეს საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად ზრდაზე ან საკრედიტო რისკით გაუფასურებაზე. ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი მაპროვოცირებლის მოხდენა მოსალოდნელია მიუთითებდეს რისკის პოზიციის საკრედიტო რისკზე უფრო მძიმე გავლენაზე (თუ ასეთი არსებობს) ვიდრე სხვა მაპროვოცირებლების მოხდენა (თუ ასეთი არსებობს). სხვადასხვა გარემოებების გამო, ნებისმიერმა აღნიშნულმა მაპროვოცირებელმა შეიძლება, მიაწინოს, რომ საკრედიტო რისკი მსესხებლის ერთ ან ყველა რისკის პოზიციაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა

(მე-2-სტადიაზე გადასვლა) ან მსესხებლის რისკის პოზიცია უკვე საკრედიტო რისკით გაუფასურებულია (მე-3 სტადიაზე გადასვლა). რისკის პოზიციის რისკის სტატუსზე მაპროვოცირებელი მოვლენის ეფექტის დროული იდენტიფიცირებისათვის უნდა ხორციელდებოდეს ადეკვატური პროცედურები.

4. ზემოთ ჩამოთვლილი მაპროვოცირებლები **შემუშავებულია** სეზ-ის პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. მაპროვოცირებლები და შესაფერისი დონეები უნდა დაკორექტირდეს საკრედიტო ზარალის შემდგომი გაანგარიშების მიზნებისათვის, თუ კი ისინი უკვე არსებობს რისკის პოზიციის წარმოქმნის/შემქმნის მომენტში. ეს იმიტომ, რომ მაპროვოცირებელის ეს დონეები რომც სინამდვილეში არსებულიყო რისკის პოზიციის წარმოქმნის/შემქმნის მომენტში, ისინი მაინც გამოიწვევდნენ იმას, რომ რისკის პოზიცია დაკლასიფიცირდებოდა როგორც 1-ლი სტადიის რისკის პოზიცია ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული რისკის პოზიცია და მაპროვოცირებლების იგივე დონეები არ იქნებოდა გამოსადეგი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად ზრდის ან საკრედიტო რისკით გაუფასურების შესაფასებლად. ასეთ შემთხვევებში საკრედიტო რისკის შემდგომი შეფასებისათვის საწარმომ ეს მაპროვოცირებლები შეიძლება გამოიყენოს, მაგრამ შესაბამისად უფრო მკაცრი/კონსერვატიული (მაღალი ან დაბალი) ზღვრებით, რომელიც ასეთი რისკის პოზიციისთვის უფრო შესაფერისი იქნება (მაგალითად, თუ სესხი გაიცა იმ დროს, როდესაც კაპიტალის აქტივებთან თანაფარდობა იყო 30%, ლოგიკური იქნება, სხვა თანაბარ პირობებში, რომ კაპიტალის აქტივებთან თანაფარდობის 30%-ზე ნაკლები მაჩვენებელი იქნას გამოყენებული, რისკის პოზიციის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად ზრდის შესამოწმებელ ზღვარად). ანალოგიურად, ზემოთ აღნიშნული მაპროვოცირებელი მოვლენების დონეები არ უნდა იქნას აღებული როგორც ყველაზე მკაცრი/კონსერვატიული (უმაღლესი/უდაბლესი) ზღვარი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ან გაუფასურების შესაფასებლად. (მაგალითად, თუ სესხი გაიცა იმ დროს, როდესაც მსესხებლის გაყიდვებში მნიშვნელოვანი მუდმივი ზრდა იყო მოსალოდნელი, გაყიდვების ზრდის შეჩერება შეიძლება საკმარის გონივრულ ზღვრად იქნას აღებული რისკის პოზიციის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანად ზრდის შესამოწმებლად. სხვა სიტყვებით, მსესხებლის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა შეიძლება მოხდეს მანამ, სანამ მსესხებლის გაყიდვები რეალურად მნიშვნელოვნად შემცირდება, როგორც ზემოთ ეს განისაზღვრა როგორც მაპროვოცირებელი).

5. დაშვებები იმაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს ზოგადი ეკონომიკური აქტივობების ცვლილება (როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი) მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე, უნდა კეთდებოდეს საკმარისად გონივრულად.
6. მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით (XIV: 4-დან 10-ის ჩათვლით), მსესხებლის ფინანსური მაჩვენებლების გაუარესების იდენტიფიკაციის მიზნით, ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა შეიმუშავოს მატერიალურობის ზღვრები, რომლებიც უნდა გამოიხატებოდეს სხვადასხვა თანხობრივ მაჩვენებლებში (მაგ. გაყიდვების შემცირება, მომგებიანობის მარჟის გაუარესება, ლევერიჯი და სხვა). სხვადასხვა ინდუსტრიისთვის, სექტორის კონკრეტული მახასიათებლების გათვალისწინებით, შესაძლოა გამოიყენებოდეს სხვადასხვა ტიპის ფარდობები ან სხვა თანხობრივი ინდიკატორები.
7. მე-2 პუნქტში დაკონკრეტებული მატერიალურობის ზღვრები ბიზნეს მსესხებლებისთვის, უნდა გამოიყენებოდეს უფრო მკაცრად მცირე და საშუალო ზომის ბიზნეს მსესხებლების შემთხვევაში, ვიდრე მსხვილი კორპორატიული მსესხებლის შემთხვევაში;
8. ფინანსურ ინსტიტუტებს უნდა ჰქონდეთ ცხადი პოლიტიკა, თუ როგორ გამოიყენება მაპროვოცირებლები, სხვადასხვა სესხის და სესხთა გაერთიანებების შემთხვევაში, მე-2 და მე-3 სტადიის სესხების იდენტიფიცირებისთვის და თუ როგორ გამოიყენება მაპროვოცირებლების თანხობრივი მაჩვენებლები კოლექტიური შეფასების მოდელებში სესხების პორტფელის ჯგუფებად დანაწილებისთვის მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე.
9. თუ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ რისკის პოზიციის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ან რომ რისკის პოზიცია გახდა საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა მოახდინოს იდენტიფიცირებული მოვლენის ტიპის დოკუმენტირება. ასეთი მტკიცებულების არარსებობისას ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა მოახდინოს ასეთ დასკვნამდე მისვლის საფეხურების დოკუმენტირება.
10. თუ ფინანსურ ინსტიტუტს გაცემული აქვს რამდენიმე სესხი კონკრეტულ მსესხებელზე, რომელთაგან ზოგიერთს მსესხებელი ემსახურება კონტრაქტის მიხედვით, მაშინ როდესაც სხვა სესხები იმყოფება დეფოლტში ან არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, უნდა ჩაითვალოს, რომ

შესაბამისად, ამ მსესხებლის ყველა სესხი იმყოფება დეფოლტში ან არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფინანსური ინსტიტუტი ფლობს ამის საწინააღმდეგო მყარ მტკიცებულებას. თუკი ასეთი მტკიცებულება არსებობს, უნდა ჩატარდეს სათანადო შეფასება იმის დასადგენად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი ამ მსესხებლის მიმართ არსებული რისკის პოზიციებზე მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

11. თუ ფინანსურ ინსტიტუტს გაცემული აქვს რამდენიმე სესხი კონკრეტულ მსესხებელზე და ერთ-ერთ მათგანზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდგომ, უნდა განხორციელდეს სათანადო შეფასება, რათა დადგინდეს, მსესხებლის სხვა რისკის პოზიციებზეც გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად თავდაპირველი აღიარების შემდგომ.
12. თუ ფინანსურ ინსტიტუტს გაცემული აქვს სესხები მსესხებლებზე, რომლებიც არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ისე, რომ წარმოადგენენ ერთ ჯგუფს, და თუ ჯგუფში შემავალი ზოგიერთი მსესხებლის რისკის პოზიცია არის დეფოლტში, გაუფასურებულია საკრედიტო რისკით ან გადასულია მე-2 სტადიაზე, შესაბამისი შეფასება უნდა განხორციელდეს იმის დასადგენად სხვა მსესხებლების რისკის პოზიციებიც ხომ არ იმყოფება დეფოლტში, გაუფასურებულა საკრედიტო რისკით ან გადასულა მე-2 სტადიაში.
13. ამ მუხლში აღწერილი შესაბამისი მაპროვოცირებლები გამოყენებულ უნდა იქნას თუ მოსალოდნელია, რომ მათი გამოყენება არსებითად გაზრდის ECL-ს შეფასების სიზუსტეს ან სანდოობას და ინფორმაცია მათ შესახებ ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი არის ფინანსური ინსტიტუტის საოპერაციო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი და ინფორმაცია ამის შესახებ ითვლება, რომ მატერიალურია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის, მოლოდინია, რომ ფინანსური ინსტიტუტები გადადგამენ ყველა საჭირო ნაბიჯს, რომ მოიპოვონ ინფორმაცია მაპროვოცირებლ(ებ)ის შესახებ, თუკი ეს არ არის შეუძლებელი. ასეთი ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა წარმოადგინოს სათანადო მტკიცებულება, თუ რატომ თვლის, რომ დანახარჯი და ძალისხმევა, რაც საჭიროა ამ ინფორმაციის მოსაძიებლად არის მიზანშეუწონელი, ან შეუძლებელი.

მუხლი 4. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო რისკის პოზიციები და მათი საკრედიტო ზარალის შეფასება

1. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციების საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურ დონეზე. რისკის პოზიციები, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი შესაძლოა გაუფასურებაზე შეფასდეს, როგორც ინდივიდუალურ, ისე, ჯგუფურ დონეზე. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციების საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს იმის მიუხედავად, მოხდა თუ არა მაპროვოცირებელი მოვლენა. საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს ყველა იმ რისკის პოზიციისთვის, რომელთათვისაც მოხდა მაპროვოცირებელ მოვლენა.
2. ფინანსურმა ინსტიტუტებმა თითოეული ინდივიდუალური რისკის პოზიციისა თუ რისკის პოზიციათა ჯგუფისთვის უნდა შეინახონ შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ხსნის, თუ როგორ განისაზღვრა, რომ რისკის პოზიცია გაუფასურებაზე უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად ან კოლექტიურად.

მუხლი 5. საკრედიტო ზარალის ინდივიდუალური შეფასება

შეფასების ზღვარი

1. ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა ჩამოაყალიბოს გონივრული ზღვარი სასესხო პორტფელში ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციების იდენტიფიკაციისთვის მსესხებლების და მსესხებელთა ჯგუფის მიხედვით.
2. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციების ზღვარმა არ უნდა გადააჭარბოს საზედამხედველო კაპიტალის 1%-ს.
3. ფინანსური დაწესებულება ვალდებულია მეორე მუხლის მიხედვით განსაზღვრული რისკის პოზიციების, რომლებიც ინდივიდუალურ შეფასებას ექვემდებარება, საკრედიტო ზარალის განმსაზღვრელი ტესტი

ჩაატაროს ინდივიდუალურ დონეზე. როდესაც ფინანსურ ინსტიტუტს ერთ კონტრაქტთან აქვს რამდენიმე ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიცია, თითოეული სესხი ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს.

12 თვიანი ECL-ს გამოანგარიშება (1-ლი სტადიის ზარალი)

4. 1-ლი სტადიის ზარალი კონცეპტუალურად გულისხმობს იმ საკრედიტო ზარალს (რისკის პოზიციის მთლიანი პერიოდის განმავლობაში), რომელიც წარმოიშობა ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი დეფოლტის მოვლენებიდან. მოცემული ზარალი გამოანგარიშებული უნდა იყოს ყველა იმ რისკის პოზიციებისთვის, რომლებიც მე-2 და მე-3 სტადიაში არ არიან გადასული.
5. სტანდარტი არ იძლევა მითითებას თუ რა იგულისხმება დეფოლტის მოვლენის ქვეშ. დეფოლტის კონცეპტუალური შინაარსი შეიძლება სხვადასხვანაირად განიმარტოს, თუმცა არსებობს უარყოფადი პრეზუმფცია, რომ 90 დღის ვადაგადაცილების შემდეგ რისკის პოზიცია დეფოლტშია (ბ5.5.37; დს5.248-დს5.253). 1-ლი სტადიის ზარალის მიზნებისთვის ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია განსაზღვროს დეფოლტის მნიშვნელობა (90 დღიანი ვადაგადაცილების პრეზუმფციის გათვალისწინებით), რომელიც:
 - ა) მინიმუმ უნდა ეფუძნებოდეს ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას (მოსალოდნელია, რომ როდესაც ეს შესაფერისია, დეფოლტის მიზნებისთვის ფინანსური დაწესებულებები ვადაგადაცილების 90 დღეზე ნაკლებ პერიოდს გამოიყენებენ);
 - ბ) შეიძლება ეფუძნებოდეს გარკვეულ მოვლენებს, თუ არსებობს მყარი მტკიცებულება იმისა, რომ მოცემული მოვლენები, დიდი ალბათობით, იწვევენ რისკის პოზიციის ვადაგადაცილებას იმდენი დღით, რომ ეს მეხუთე პუნქტის ა ქვეპუნქტის მიხედვით დაკლასიფიცირდება დეფოლტად.
 - გ) შეიძლება განსხვავებული იყოს რისკის პოზიციების ტიპის მიხედვით
6. 1-ლი სტადიის ზარალის გამოანგარიშების მიზნებისთვის მაპროვოცირებელი მოვლენის მოხდენის ალბათობა უნდა გამოანგარიშდეს ჩამოთვლილთაგან უმცირეს პერიოდზე:
 - ა) მომავალი 12 თვე; და

ბ) დარჩენილი მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდი (ვადის გაგრძელების პირობის ჩათვლით), რომლის განმავლობაში საწარმო ექვემდებარება საკრედიტო რისკს;

7. 1-ლი სტადიის ზარალის გამოანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სეზ-ის მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური სცენარები. გამოქვეყნებულმა სცენარებმა გავლენა უნდა მოახდინოს როგორც პერიოდის განმავლობაში დეფოლტის მოვლენების მოხდენის ალბათობაზე, ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მიხედვით, ისე შესაბამისი ზარალის გამოანგარიშებაზე.

რისკის პოზიციის შემოწმება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დასაფიქსირებლად

8. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე უნდა შემოწმდეს რეგულარულად (მაგალითად, კვარტალურად), მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.
9. მე-2 სტადიის ზარალის კონცეფცია გულისხმობს ყველა ზარალს, რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან რისკის პოზიციის მოსალოდნელი არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში.
10. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე ინდივიდუალურად უნდა შემოწმდნენ სულ მცირე ის რისკის პოზიციები:
 - ა) რომლებიც ექცევიან ამ მუხლის მეორე და მესამე პუნქტებში მითითებული ზღვრისა და დაჯგუფების მოთხოვნების მოქმედების სფეროში, და ამავდროულად
 - ბ) რომლებთა მიმართაც მოხდა მაპროვოცირებელი მოვლენა (როგორც ეს მითითებულია მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში) რისკის პოზიციის თავდაპირველი აღიარების შემდეგ.
11. მე-2 სტადიის ზარალის გამოანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იქნას სეზ-ის მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური სცენარები. 1-ლი სტადიის ზარალის მსგავსად, გამოქვეყნებულმა სცენარებმა გავლენა უნდა მოახდინოს როგორც დეფოლტის მოვლენის ალბათობაზე პერიოდის განმავლობაში ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების მიხედვით, ისე შესაბამისი ზარალის გამოანგარიშებაზე.

რისკის პოზიციების ტესტირება გაუფასურების დასადგენად

12. იმ შემთხვევაში თუ მოხდა ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც აქვს საზიანო გავლენა შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, უნდა აღიარდეს შესაბამისი მე-3 სტადიის ზარალი. ზარალი უნდა იანგარიშებოდეს, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მისაღები ფულადი ნაკადისა და ყველა იმ ფულადი ნაკადის სხვაობა, რომელთა მიღებასაც საწარმო რეალურად მოელის (სხვა სიტყვებით ფულადი დანაკლისი), რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.
13. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციების გაუფასურების შეფასებისთვის, ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა გამოიყენონ გონივრული (არა ოპტიმისტური) მიდგომა სამომავლო ფულადი ნაკადების მოდელისთვის და უზრუნველყოფის რეალური ღირებულების შეფასებისთვის, სათანადო დასაბუთების თანხლებით.
14. ერთი მსესხებლის ან ურთიერთდაკავშირებული მსესხებელთა ჯგუფის ფულადი ნაკადების ანალიზი მინიმუმ უნდა მოიცავდეს შემდეგს:
 - ა) ინდუსტრიის ანალიზი, რომელშიც მსესხებელი ოპერირებს, არსებული და მოსალოდნელი ინდუსტრიული და ეკონომიკური ტენდენციების ჩათვლით, რომელთაც შეიძლება ეფექტი ჰქონდეთ მსესხებლის ან ურთიერთდაკავშირებული მსესხებელთა ჯგუფის მიმდინარე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.
 - ბ) მყარი ახსნა-განმარტებები შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების გაუმჯობესების შემთხვევებისთვის (როდესაც არსებობს შემოსავლის ან ფულადი ნაკადების შემცირების ისტორიული ტენდენცია. გაუმჯობესება არ უნდა იგეგმებოდეს გონივრული მტკიცებულების არსებობის გარეშე)
 - გ) ფინანსური დაწესებულების მიერ მსესხებლის ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის მიმართ ნაკისრი პირობითი ვალდებულებებისა და შესრულების პირობების ანალიზი (გაცემული გარანტია, აკრედიტივი და სხვა);
 - დ) მსესხებლის ან მსესხებელთა ჯგუფის მიერ ნაკისრი ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების და შესრულების პირობების ანალიზი (მესამე მხარეზე გაცემული გარანტიები და აკრედიტივები, სასამართლო დავები და სხვა);
15. აქციონერების მიერ საკუთარი რესურსებით გადახდა არ უნდა იქნას მიღებული მხედველობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდის წყარო სათანადოდაა გაანალიზებული.

16. უნდა გაანალიზდეს მსესხებლის ფულადი ნაკადები და ზოგიერთი მათგანი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გამოირიცხოს, იმისათვის, რომ გათვალისწინებულ იქნას ის თანხები, რომლებიც ხელმისაწვდომია რისკის პოზიციის გადახდისთვის. მსგავსი ფულადი ნაკადები შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით:

- ა) გონივრული კაპიტალური დანახარჯები, რომლებიც აუცილებელია საოპერაციო შესაძლებლობების შენარჩუნებისთვის და ასევე გაფართოებისათვის, თუ ეს დაგეგმილია;
- ბ) ბიზნეს ოპერაციების შენარჩუნების მიზნით წმინდა ფულადი ნაკადების გადინება;
- გ) გადასახადების, მათ შორის მოგების გადასახადის, გადახდა;
- დ) დივიდენდების გადახდა;
- ე) გადახდები უზრუნველყოფის გაყიდვის დასაფინანსებლად;

17. ანალიზი უნდა ეფუძნებოდეს უახლეს ხელმისაწვდომ და დადასტურებულ ინფორმაციას (როგორც ფინანსურს ისე არაფინანსურს) რომელიც ასახავს საწარმოს შედეგიანობას მაპროვოცირებელი მოვლენის თარიღის შემდგომ.

18. ფულად ნაკადების გათვლებში გათვალისწინებული უნდა იყოს საპროგნოზო ინფორმაცია, რაც გამოიყენება 1-ლი და მე-2 სტადიის სესხების დეფოლტის ალბათობის/დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გამოთვლისთვის (დეტალებისთვის იხილეთ მუხლი 8). ლოგიკა თუ საპროგნოზო ინფორმაცია რა გავლენას ახდენს მსესხებლის მომავალ ფულად ნაკადებზე არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ ლოგიკას რაც გამოიყენება ყველა სახის რისკის პოზიციასთან მიმართებით 1-ლი და მე-2 სტადიის სესხების დეფოლტის ალბათობის/დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და უზრუნველყოფის შეფასებისა და გაყიდვის პერიოდის გამოთვლის მიზნებისათვის.

19. მსესხებელთა ჯგუფის შეფასება უნდა განხორციელდეს იმ დაშვებით, რომ ჯგუფში შემავალი ყველა მსესხებლის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადები (მათ შორის უზრუნველყოფის გაყიდვით წარმოქმნილი) იქნება გამოყენებული ჯგუფის მთლიანი დარჩენილი რისკის პოზიციის დასაფარად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

- ა) ჯგუფში შემავალი ერთი მსესხებლის ფინანსური სირთულეები გავლენას არ მოახდენს ჯგუფის სხვა მსესხებლის სესხის მომსახურების შესაძლებლობაზე;

ბ) ჯგუფის ერთი მსესხებლის რისკის პოზიციის უზრუნველყოფის გამოყენება ფინანსურ ინსტიტუტს არ შეუძლია ჯგუფის სხვა მსესხებლის ვადაგადაცილებული რისკის პოზიციის დასაფარად.

გ) ჯგუფის მსესხებელთა შორის არ არსებობს ურთიერთსაგარანტიო ხელშეკრულება მიმდინარე ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებით.

დ) არ არსებობს რაიმე სხვა მტკიცებულება, რომ ჯგუფის ერთი მსესხებლის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადები შეიძლება იყოს ან იქნება გამოყენებული ჯგუფის სხვა მსესხებლის დარჩენილი საკრედიტო რისკის პოზიციის დასაფარად.

20. მაპროვოცირებელი მოვლენის თარიღის შემდგომ განახლებული ფინანსური ინფორმაციის არარსებობისას, ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა შეაფასოს საკრედიტო ზარალი მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე სესხების ჯგუფის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით (მაგალითად, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში). ასეთ შემთხვევებში, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების სესხების ჯგუფის განსაზღვრისას უზრუნველყოფის ღირებულება და ლიკვიდურობა მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც მთავარი კრიტერიუმი.

21. მე-3 სტადიის რისკის პოზიციები შესაძლოა დაუბრუნდეს მე-2 ან 1-ელ სტადიას იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღარ აკმაყოფილებენ მე-3 სტადიაში ყოფნისთვის შესაფერის კრიტერიუმებს და ამავდროულად არსებობს თანმიმდევრულად ექვსი სახელშეკრულებო გადახდის მტკიცებულება (გადახდები თავის თავში არ უნდა მოიცავდნენ რაიმე სახის შემსუბუქების პირობას, როგორიცაა საშელავათო პერიოდი, პროცენტთან ან ძირ თანხასთან დაკავშირებით).

მუხლი 6. სესხების კოლექტიური შეფასება

1. ფასს 9-ის 85.5.5 პარაგრაფის მიხედვით, კოლექტიურად შეფასებული რისკის პოზიციები უნდა დაჯგუფდეს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ფინანსურმა ინსტიტუტებმა ჯგუფების იდენტიფიცირებისთვის უნდა გამოიყენონ ამ საერთო მახასიათებელთაგან ყველაზე რელევანტური. ჯგუფები უნდა იყოს რისკის პოზიციების რაოდენობის მხრივ იმდენად დიდი და რისკის პოზიციების სახეობების

მრავალფეროვნების მხრივ იმდენად პატარა, რომ უზრუნველყოს ჯგუფზე რელევანტური სტატისტიკური ანალიზის ჩატარების საკმარისი სანდოობა. ფინანსური ინსტიტუტის მიერ გამოყენებული მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდეს პროდუქტების მიხედვით. აგრეთვე გასათვალისწინებელია შეფასების მიზანი (კერძოდ ზოგიერთი მახასიათებელი, რომელიც მსესხებლისთვისაა კონკრეტული, შესაძლოა ადეკვატური იყოს დაჯგუფებისთვის მე-3 სტადიის ზარალის გამოვლენის მიზნით, მაშინ როდესაც სხვა მახასიათებლის მიხედვით დაჯგუფება, რომლებიც უფრო რისკის პოზიციისთვისაა კონკრეტული, შესაძლოა უფრო ადეკვატური იყოს 1-ლი და მე-2 სტადიის ზარალის შეფასებისთვის). ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა წარმოადგინოს საკმარისი ლოგიკური საფუძველი სესხის პორტფელის ჯგუფებად დაყოფისთვის. საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- ა) საკრედიტო რისკის რანგი;
- ბ) ტიპი (მაგალითად იპოთეკური სესხები და საკრედიტო ბარათების სესხები);
- გ) გეოგრაფიული ადგილმდებარეობა;
- დ) უზრუნველყოფა;
- ე) კონტრაჰენტის ტიპი (მაგალითად საცალო, კომერციული, საჯარო)
- ვ) ვადაგადაცილების სტატუსი;
- ზ) ვადიანობა;
- თ) რესტრუქტურისაციის/რეფინანსირების სტატუსი;
- ი) ინდუსტრიის სეგმენტები (კორპორატიული/ მცირე და საშუალო ბიზნესების პორტფელი);

2. სესხების ჯგუფების საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების შეფასებისას, 1-ლი პუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მსესხებლის კრედიტუნარიანობას, სადაც მაღალი რისკის ჯგუფები წარმოადგენენ მსესხებლებს კონკრეტული კოეფიციენტებით, რომლებიც აღემატება შემდეგ ლიმიტებს:

- ა) ფიზიკური პირების შემთხვევაში, გადახდების ფარდობა შემოსავალთან (PTI):

- i) 15% თუ თვიური ხელფასი ნაკლებია 500 ლზე;
- ii) 20% თუ თვიური ხელფასი 500 ლსა და 1000 ლს შორისაა;
- iii) 25% თუ თვიური ხელფასი 1000 ლსა და 2,000 ლს შორისაა;
- iv) 30% თუ თვიური ხელფასი 2000 ლსა და 4000 ლს შორისაა;
- v) 35% თუ თვიური ხელფასი 4000 ლსა და 8000 ლს შორისაა;

- vi) 40% თუ თვიური ხელფასი 8000 ლსა და 16000 ლს შორისაა;
- vii) 50% თუ თვიური ხელფასი 16000 ლს აღემატება;

იმ მსესხებლებისათვის, რომელთათვისაც სავალუტო კურსი არ არის ჰეჯირებული, ზემოთ ჩამოთვლილი PTI მაჩვენებლები უნდა იყოს 5 საპროცენტო პუნქტით ნაკლები.

- ბ) კოლექტიურ საფუძველზე შეფასებული მცირე და საშუალო ბიზნესის და კორპორატიული მსესხებლების შემთხვევაში, ისინი რომლებიც წარმოაჩენენ ფინანსური შედეგიანობის გაზრდილ რისკს, როგორც ეს განსაზღვრულია მე-3 მუხლში.

3. რისკის მსგავს პროფილზე დაფუძნებით ერთგვაროვან კლასებად დანაწევრებამდე (მაგალითად იგივე პროდუქტი, დეფოლტის განაკვეთები), სეგმენტაციის ადეკვატურობა უნდა დადასტურდეს ისტორიული ზარალის მონაცემების გამოყენებით.
4. ასეთი სესხების ჯგუფების ფორმირებისას, ყურადღება უნდა მიექცეს მათ გრანულარულობას - მნიშვნელოვანი კონცენტრაციის მქონე ჯგუფი (შედარებით დიდი რისკის პოზიციების მქონე რამდენიმე სესხი) არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ერთგვაროვანად. სტატისტიკურ საზომს, როგორიცაა HHI (Herfindhal-Hirschman Index) შეუძლია დაადასტუროს, რომ მოცემულ ჯგუფს აქვს დაბალი კონცენტრაცია.
5. რისკის პოზიციების შესაბამისი დაჯგუფების რაციონალური საფუძველი, მათ შორის დაკვირვებადი მონაცემები, რაც გამოიყენება დასკვნისთვის, რომ თითოეულ ჯგუფში შემავალ რისკის პოზიციებს აქვთ მსგავსი ნიშან-თვისებები ან საკრედიტო რისკის მახასიათებლები, ადეკვატურად უნდა იყოს დოკუმენტირებული.
6. ფასს 9-ის მიზნებისათვის დეფოლტის ალბათობა არის მოსალოდნელი ზარალის საზომი, ნაცვლად დამდგარი ზარალისა. ამიტომ, დეფოლტის ალბათობა გამოყენებულ უნდა იქნეს 1-ლი და მე-2 სტადიის სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისთვის. დეფოლტის ალბათობა მე-3 სტადიის სესხებისათვის შესაძლოა, ჩაითვალოს, რომ 100%-ის ტოლია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დაშვება ალოგიკურია ფინანსური ინსტიტუტის მიერ გამოყენებული დეფოლტის განმარტების გათვალისწინებით.
7. სესხის ზარალის რეზერვის მეთოდოლოგიის გამოთვლის ძირითადი კომპონენტები მოიცავს შემდეგს:

ა) დეფოლტის ალბათობა (PD) – უნდა ასახავდეს იმ დეფოლტის მოვლენების მოხდენის ალბათობას, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ფინანსურ ინსტრუმენტზე გამოიწვევენ საკრედიტო ზარალებს.

ბ) დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD) – უნდა წარმოადგენდეს მოსალოდნელ დაუფარავ რისკის პოზიციას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს იმ პერიოდში/თარიღში, რომელშიც გათვალისწინებულია დეფოლტი. შესაძლოა საჭირო გახდეს ერთზე მეტი EAD-ის შეფასება, რათა გათვალისწინებულ იქნას სრული პერიოდი რომლისთვისაც ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (კერძოდ, ნარჩენი მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდი (ვადის გაგრძელების პირობების გათვალისწინებით), რომლის განმავლობაშიც საწარმო ექვემდებარება საკრედიტო რისკს).

გ) ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) - გამოთვლილ უნდა იქნეს სტატისტიკურად სესხის ანაზღაურების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით და უნდა დაკორექტირდეს არსებული მდგომარეობის და ხელმისაწვდომი საპროგნოზო ინფორმაციის შესაბამისად. ყველა საპროგნოზო ფულადი ნაკადი უნდა დისკონტირდეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შემცირებული ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში), რათა მიღებულ იქნეს წმინდა ანაზღაურებადი თანხა.

8. 1-ლი და მე-2 სტადიის სესხებისთვის PD გამოთვლილ უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა. 1-ლი სტადიის სესხებისათვის, PD უნდა ასახავდეს იმ დეფოლტის მოვლენების ალბათობას, რომლებიც შესაძლოა მოხდეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (საპროგნოზო ინფორმაციის, მათ შორის მაკროეკონომიკური ფაქტორების, გათვალისწინებით).

ბ. მე-2 სტადიის სესხებისათვის PD უნდა ასახავდეს ყველა დეფოლტის მოვლენების ალბათობას, რომლებიც შესაძლოა მოხდეს რისკის პოზიციის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე (საპროგნოზო ინფორმაციის, მათ შორის მაკროეკონომიკური ფაქტორების, გათვალისწინებით).

9. PD-ს გამოთვლის მეთოდოლოგია უნდა დაიგეგმოს ისე, რომ შედეგად იძლეოდეს PD-ს ისეთ შეფასებებს, როგორის მიღებაც შესაძლებელია, PD-ს შეფასება რომ ეფუძნებოდეს მსესხებლებს, ნაცვლად სესხებისა. პორტფელის

PD-ს შეფასების მოდელები უნდა ეფუძნებოდეს მსესხებლების (რისკის პოზიციების) რაოდენობას, ნაცვლად მათი ღირებულებისა. თუმცა, თუ ჯგუფი ძალზედ გრანულარულია, PD შესაძლოა დაეფუძნოს რისკის პოზიციის ღირებულებას. ასეთ შემთხვევაში ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა დაადასტუროს, რომ კონცენტრაციის დონე გავლენას არ ახდენს PD-ს გამოთვლებზე.

10. დეფოლტის მოვლენის განმარტება შესაძლოა დაეფუძნოს ვადაგადაცილებული დღეებს. თუ დეფოლტის განმარტებისათვის დღეების რაოდენობა იქნება გამოყენებული, ასეთი განმარტება შესაძლოა განსხვავდებოდეს პროდუქტის სახეების მიხედვით. მაგალითად, იპოთეკური სესხები შეიძლება ვადაგადაცილებულ ჯგუფს მიეკუთვნოს უფრო ხანგრძლივი პერიოდით, რათა კლასიფიცირდეს როგორც გადეფოლტებული, სწრაფი განვადებისგან განსხვავებით. ფინანსურმა ინსტიტუტებმა ამგვარი დეფოლტის განმარტებებისათვის უნდა უზრუნველყონ გონივრული დასაბუთება.

11. კოლექტიური შეფასების მოდელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

ა) იგულისხმებოდეს, რომ მსესხებლის დეფოლტი ცალკეულ სესხზე წარმოადგენს მაპროვოცირებელ მოვლენას მსესხებლის ყველა სხვა რისკის პოზიციაზე.

ბ) PD-ს შეფასების ნებისმიერმა მოდელმა უნდა გაითვალისწინოს ჩამოწერილი სესხები.

გ) რესტრუქტურიზაცია, “როლოვერი“, ხელოვნურად ამცირებენ პორტფელის რეალურად გადეფოლტებულ სესხებს. ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა ჩამოაყალიბონ ეფექტური პროცედურები რათა უზრუნველყონ ასეთი სესხების დროული გამოვლენა და მოდელში შესაბამისად გათვალისწინება.

დ) შერჩეულმა მოდელმა ისევე როგორც მოდელის პარამეტრების კალიბრაციამ უნდა უზრუნველყოს იმის დადასტურება, რომ პორტფელის ზრდის ეფექტი სრულად არის გათვალისწინებული.

ე) მოდელმა უნდა დაფაროს მთლიანი ეკონომიკური ციკლი, რათა უზრუნველყოს სესხის ზარალის მყარი და აზრიანი სტატისტიკური შეფასებები რათა დაადგინოს კოლექტიური გაუფასურების ზარალის დონე ერთმანეთის მსგავსი სესხების თითოეული ჯგუფისთვის.

ვ) მოდელი კარგად უნდა გადამოწმდეს წინა პერიოდის მონაცემებზე. თუ PD-ს შეფასება ეფუძნება სხვა მოდელის შედეგებს (მაგალითად ქულობრივი მოდელი), უკუტესტირების შედეგებთან ერთად

წარმოდგენილი უნდა იყოს სტატისტიკური შეფასების ადეკვატურობის ანალიზი.

12. ისტორიული ზარალის გამოცდილება გონივრული საწყისი წერტილია ინსტიტუტისთვის, რათა განსაზღვროს შესაფერისი დონე აგრეგირებული სესხების ზარალის რეზერვისთვის. თუმცა, სესხის გაუფასურების შეფასება და გამოთვლა მხოლოდ ისტორიული ზარალის გამოცდილებას არ უნდა დაეფუძნოს. ისტორიული ზარალის დაკვირვებადი მონაცემები შეიძლება შეზღუდული იყოს ან არ იყოს მიმდინარე გარემოებებისათვის სრულად შესაფერისი. გათვალისწინებულ უნდა იქნას ნებისმიერი სხვა მიმდინარე ფაქტორი, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს დეფოლტის ალბათობის ან ფინანსური ინსტიტუტის პორტფელის ზარალის განსხვავებას ისტორიული ზარალის გამოცდილებისგან. საბოლოო შედეგის მიღებამდე მოდელმა უნდა გაითვალისწინოს:

ა) პორტფელის რისკის პროფილის ცვლილება, რაც გამოწვეულია, მაგალითად, გადასახდელი თანხისა და შემოსავლის კოეფიციენტის (PTI) ზრდით და/ან სესხის უზრუნველყოფის ღირებულების მნიშვნელოვანი გაუარესებით (LTV კოეფიციენტი), როგორც არსებული და ახალი მსესხებლებისთვის, და სხვა რელევანტური ფაქტორები;

ბ) სესხის გაცემის პოლიტიკის და პროცედურების ცვლილებები, როგორიცაა ცვლილებები სესხის გაცემის სტანდარტებში, ცვლილებები PTI კოეფიციენტის მოთხოვნებში, საკრედიტო ისტორია, LTV, მსესხებლის ასაკი და სხვა;

გ) საკრედიტო რისკის ნებისმიერი კონცენტრაციის ეფექტი და ასეთი კონცენტრაციის დონის ცვლილებები (მაგალითად, საცალო პორტფელში მაღალი კონცენტრაცია, რაც გამოწვეულია იმით, რომ მსესხებლების უმეტესობა დასაქმებულია კონკრეტულ ინდუსტრიაში მაღალი სისტემური რისკის კომპონენტით);

დ) ჩამოწერები და რისკის პოზიციის პირობების ნებისმიერი მოდიფიკაციები;

ე) ვადაგადაცილებული სესხების და დაბალი ხარისხის რანგის მქონე სესხების ტენდენციების, მოცულობის და სიმძიმის ცვლილებები, ასევე გაუფასურებული და პრობლემური სესხების ტენდენციების ცვლილებები;

ვ) ცვლილებები საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოსა და განვითარებაში, მათ შორის სხვადასხვა ბაზრის სეგმენტების მდგომარეობაში;

ზ) ინსტიტუტის მიმდინარე პორტფელის შეფასებული საკრედიტო ზარალის დონეზე გარე ფაქტორების ეფექტი, როგორიცაა კონკურენცია, სამართლებრივი და საზედამხებელო მოთხოვნები

13. როდესაც სხვადასხვა ცვლილებები მიუთითებს ისტორიული მონაცემების გამოყენებით მიღებული შედეგების კორექტირების საჭიროებაზე, ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს თავისი დაკრედიტების მსჯელობის გამოცდილება რათა შეაფასოს დეფოლტის ალბათობა, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში და საკრედიტო ზარალი. ასეთი შეფასებები უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ და ობიექტურ დაშვებებს და უნდა ეყრდნობოდეს ადეკვატურ დოკუმენტაციას.
14. ისტორიული ზარალის გამოცდილების ზემოხსენებული კორექტირების გარდა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მე-8 მუხლის მიხედვით საპროგნოზო ინფორმაცია (როგორც PD-ს, ისე LGD-ს გამოთვლის მიზნებისათვის).
15. ფინანსურმა ინსტიტუტმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეაფასოს ყველა რელევანტური ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე.
16. გაუფასურების რეზერვის ნებისმიერი კორექტირება უნდა ეფუძნებოდეს დოკუმენტაციას, რომელიც ნათლად ასახავს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე მიმდინარე ფაქტორების ცვლილების შეფასებულ გავლენას (სხვა სიტყვებით, თუ რა გავლენა ჰქონდა ფაქტორების ცვლილებას ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაფუძნებით გამოთვლილი ზარალის შედეგებზე). სასურველია ისტორიული ზარალის გამოცდილების კორექტირება დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, რათა აისახოს მიმდინარე მდგომარეობის ეფექტები, რომელსაც არ მოიცავს ისტორიულ ზარალის გამოცდილებაზე დაფუძნებული პერიოდი და მოშორდეს ისტორიული პერიოდის მდგომარეობის ეფექტები, რომლებიც ახლა არ არსებობს.
17. ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა შეინარჩუნოს ისტორიული ზარალის საკმარისი მონაცემები სრული საკრედიტო ციკლის განმავლობაში, რათა უზრუნველყოს სესხის ზარალის მყარი და აზრიანი სტატისტიკური შეფასებები მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე სესხების თითოეული ჯგუფის კოლექტიური გაუფასურების ზარალის დონის დასადგენად. გამოცდილებაზე დაფუძნებული დაკრედიტების მსჯელობის გამოყენებისას, ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა წარმოადგინოს სათანადო

რაციონალური საფუძველი ისტორიული ზარალის ნებისმიერი იმ მონაცემის მოშორებისას, რომელიც მიჩნეულია, რომ არ არის პორტფელის შედეგიანობის ამსახველი.

18. ფინანსურმა ინსტიტუტმა, რომელსაც არ აქვს ზარალის საკუთარი გამოცდილება ან აქვს არასაკმარისი გამოცდილება უნდა გამოიყენონ მსგავსი ჯგუფების გამოცდილება შესადარისი ფინანსური აქტივების ჯგუფისთვის.

მუხლი 7. უზრუნველყოფის შეფასება

1. ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა გამოიყენონ უზრუნველყოფის რეალური ღირებულების შეფასების გონივრული (და არა ოპტიმისტური) მიდგომა.
2. მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშებისთვის, უზრუნველყოფის ღირებულება გამოთვლილ უნდა იქნეს, როგორც რეალური ღირებულების და გაყიდვის და მასთან დაკავშირებული ანაზღაურების სხვა დანახარჯების სხვაობის დღევანდელი ღირებულება, რათა მიღებულ იქნეს წმინდა ანაზღაურებადი ღირებულება. ასეთები მოიცავს და არ შემოიფარგლება შემდეგით: დღგ, აუქციონის საფასური, დასაკუთრების დანახარჯები, ლიკვიდაციის დანახარჯები, იურიდიული დანახარჯები და სხვ. ასეთი დანახარჯები სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული სესხებზე დეფოლტის შემთხვევაში ზარალის ოდენობის მიღებისას.
3. უზრუნველყოფის რეალური ღირებულება უნდა შეფასდეს შეფასების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.
4. ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს, რომ უზრუნველყოფის შეფასებაზე პასუხისმგებელ შემფასებლებს ჰქონდეთ საკმარისი ექსპერტული ცოდნა და რესურსი სათანადოდ შეფასებისთვის და რომ ისინი იყვნენ დამოუკიდებლები.
5. შეფასებულმა უზრუნველყოფის რეალიზაციის ღირებულებამ და ლიკვიდაციის პერიოდმა უნდა ასახოს ბაზრის მიმდინარე მდგომარეობა, ფინანსური ინსტიტუტების წარსული გამოცდილება (სტატისტიკური მონაცემები) და საპროგნოზო ინფორმაცია ამ დოკუმენტის მე-8 მუხლის მიხედვით.

მუხლი 8. საპროგნოზო ინფორმაცია

1. გონივრული და დასაბუთებული საპროგნოზო ინფორმაციის, მათ შორის მაკროეკონომიკური ფაქტორების, გათვალისწინება აუცილებელია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისა და გაზომვისთვის.
2. ფინანსურ ინსტიტუტებს მოეთხოვებათ მრავალმხრივი ინფორმაციის გათვალისწინება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელების გამოყენებისას. ფასს 9-ის 5.5.17 პუნქტის მიხედვით, გათვალისწინებულ უნდა იქნას ყველა გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია წარსულ მოვლენებზე, მიმდინარე მდგომარეობაზე და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებზე, რომელიც ხელმისაწვდომია საანგარიშო თარიღისთვის მიზანშეუწონელი დანახარჯებისა ან ძალისხმევის გარეშე. ფინანსურმა ინსტიტუტმა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა განსაზღვრონ თუ რა ინფორმაცია უნდა გაითვალისწინონ და, ასევე, არის თუ არა ეს ინფორმაცია გონივრული და დასაბუთებული.
3. ფინანსურ ინსტიტუტებს უნდა შეეძლოთ იმის ახსნა თუ როგორ გაითვალისწინეს ასეთი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისა და გაზომვის პროცესში. ინფორმაცია არ უნდა გამოირიცხოს ამ პროცესიდან მხოლოდ იმიტომ, რომ მოვლენის მოხდენის ალბათობა დაბალია ან მისი გავლენა საკრედიტო რისკზე ან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ბუნდოვანია.
4. ფასს 9-ზე ეფექტურად გადასვლის მიზნით, სებ-ი გამოაქვეყნებს სამ მაკროეკონომიკურ საპროგნოზო სცენარს. ამ პროცესში სებ-ის ჩართულობის მიზანია უზრუნველყოს ფინანსური ინსტიტუტების მიერ ანგარიშგების გამჭვირვალედ, თანმიმდევრულად და ეფექტიანად წარმოება და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ფინანსური ანგარიშგებების შედარებითობის უზრუნველყოფა.
5. ფასს 9-ის 5.5.17 (გ) პუნქტი მიუთითებს მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებზე, რაც გულისხმობს, რომ ერთზე მეტი პროგნოზი უნდა იქნეს გათვალისწინებული. შესაბამისად, სებ-ი ამ მიზნით რეგულარულად გამოაქვეყნებს სამ საპროგნოზო სცენარს. ამ სცენარებს შორის, ერთი იქნება საბაზო, რომელიც ეკონომიკის ყველაზე შესაძლო მდგომარეობას ასახავს, ხოლო დანარჩენი ორი ალტერნატიული, რომლებიც აანალიზებენ ყველაზე მნიშვნელოვან მიმდინარე რისკებს. სცენარებში

წარმოდგენილია იმ ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების დინამიკა, რომლებიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ფინანსური სექტორის შეფასებისთვის. კერძოდ: რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი, ეფექტური გაცვლითი კურსის დინამიკა, ინფლაცია, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასები და სხვა.

6. ფასს 9-ის 5.5.17 (ა) პუნქტის მიხედვით სუბიექტმა ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ისე უნდა შეაფასოს, რომ მოხდეს მიუკერძოებელი და ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის ასახვა. შედეგების მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია რამდენიმე ეკონომიკური სცენარის გამოყენება და თითოეული სცენარისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დათვლა და მხოლოდ მას შემდგომ, შედეგების შესაბამისი ალბათობებით შეწონვა. მხოლოდ ერთი მაკროეკონომიკური სცენარის გამოყენება არ არის საკმარისი თუ ურთიერთდამოკიდებულება საკრედიტო ზარალსა და მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის არაწრფივია. მხოლოდ ერთი შეწონილი სცენარის გამოყენება არასასურველი იქნება, რადგან სტანდარტი ხაზს უსვამს საკრედიტო ზარალის კომპლექსურად შეფასების აუცილებლობას.
7. გამომდინარე იქიდან, რომ სეზ-ი უზრუნველყოფს მაკროეკონომიკური საპროგნოზო სცენარების გამოქვეყნებას ფასს 9-ის 5.5.17 პუნქტის მიზნებისათვის, იგულისხმება, რომ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე და ამიტომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფინანსური ინსტიტუტის მიერ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დათვლისას.
8. სცენარები და ცვლადების ჩამონათვალი სარეკომენდაციო ხასიათისაა. ეს სახელმძღვანელო დაფუძნებულია მიდგომაზე „დაექვემდებარე ან განმარტე“. ფინანსურ ინსტიტუტებს შეუძლიათ მოიძიონ მაკროეკონომიკური სცენარების სხვა საიმედო წყაროები, გარდა სეზ-ისა და გამოიყენონ საკუთარი შეფასება იმ მაკროეკონომიკური ცვლადების შერჩევისას, რომელთაც ისინი მიიჩნევენ მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკის ანალიზისას. თუმცა, როდესაც ფინანსური ინსტიტუტი იყენებს სხვა წყაროს იმ ინფორმაციისთვის, რომელიც აგრეთვე მოწოდებულია სეზ-ის მიერ, ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა აჩვენოს და დაასაბუთოს მის მიერ გამოყენებული ალტერნატიული წყაროს უპირატესობა.
9. გარდა მაკროეკონომიკური სცენარებისა, ECL-ის შეფასებისთვის მისასალმებელია, თუ ფინანსური ინსტიტუტები გაითვალისწინებენ

სექტორებისთვის დამახასიათებელ სხვა სპეციფიკური ფაქტორების მოსალოდნელ ცვლილებებს.

10. ანალიზი, შეფასება, მიმოხილვა და ზარალის რეზერვის გაანგარიშების მეთოდოლოგიის სხვა ფუნქციები უნდა შესრულდეს კომპეტენტური და კვალიფიციური პერსონალის მიერ და სუბიექტს უნდა შეეძლოს წერილობითი დასაბუთება შესაბამისი არგუმენტებითა და ცხადი განმარტებებით.

მუხლი 9. გაუფასურების მეთოდოლოგიის მიმოხილვა

1. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგია რეგულარულად უნდა გადაიხედოს, რათა სხვაობები ზარალის შეფასებებში და რეალურ ზარალს შორის მინიმუმამდე შემცირდეს (უკუტესტირება/სტრეს ტესტების შედეგებით). უკუტესტირებამ უნდა დაადასტუროს, რომ არსებული გაუფასურების მეთოდოლოგია ადეკვატურია იმის ჩვენებით, რომ სხვაობა რეალურ და შეფასებულ ზარალს შორის სტატისტიკურად უმნიშვნელოა. მეთოდოლოგია უნდა შეიცავდეს სათანადო განმარტებას სტატისტიკურად უმნიშვნელო განსხვავებებისთვის. მიმოხილვა უნდა ხდებოდეს სულ მცირე წელიწადში ერთხელ. როდესაც ახალი ECL-ის მეთოდი ინერგება, უნდა მოხდეს რაციონალური საფუძვლის დოკუმენტირება და განახლების პირველ წელს წარმოდგენილი უნდა იყოს საკრედიტო ზარალის შედეგები ახალი და ძველი მეთოდოლოგიების შემთხვევაში.
2. ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ გაუფასურების მიმოხილვის შედეგების და საკვანძო შეფასებებსა და მსჯელობებთან დაკავშირებული ცვლილებების სათანადო დოკუმენტირება. უტყუარობის პროცედურის შედეგები უნდა წარედგინოს დირექტორთა საბჭოს და უფროს ხელმძღვანელობას.
3. ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა მიმოიხილონ და განახლონ მათი არსებული მაპროგნოზირებელი მოვლენები, რათა დარწმუნდნენ, რომ მაპროგნოზირებელი მე-2 და მე-3 სტადიის ზარალის იდენტიფიცირებას ახდენს რაც შეიძლება ადრე. ამის შედეგად მიღწეულ უნდა იქნას ზარალის ყველაზე ადრინდელი შესაძლო აღიარება ფასს-ის ჩარჩოს ფარგლებში.

მუხლი 10. ხელმძღვანელობის მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

1. საკრედიტო ზარალის რეზერვები უნდა გამოვლინდეს ინფორმირებული ხელმძღვანელობის მსჯელობაზე დაფუძნებით, რათა დადგინდეს მოსალოდნელი ზარალის ოდენობა დროის კონკრეტულ წერტილში არსებული ფაქტების და გარემოებების და პროგნოზების საფუძველზე.
2. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილებაზე დაფუძნებული მსჯელობები შეიძლება იყოს აუცილებელი, გონივრულად უნდა იყოს შეზღუდული დისკრეციის საზღვრები. ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული მსჯელობების გასაგებად უნდა არსებობდეს შესაბამისი დოკუმენტაცია. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია შემდეგი:
 - ა) გამოცდილებაზე დაფუძნებული დაკრედიტების შესახებ მსჯელობები უნდა ექვემდებაროს დადგენილ პოლიტიკას და პროცედურებს;
 - ბ) სესხის ხარისხის შეფასებისათვის უნდა არსებობდეს დამტკიცებული და დოკუმენტირებული ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც უნდა გამოიყენებოდეს თანმიმდევრულად დროთა განმავლობაში;
3. შეფასებები უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ და ობიექტურ დაშვებებს და უნდა იყოს ადეკვატურად დოკუმენტირებული. გაუფასურების მეთოდოლოგია რეგულარულად უნდა განიხილოს დამოუკიდებელმა მიმომხილველმა.
4. გაუფასურების მეთოდოლოგია უნდა დაამტკიცოს ფინანსური ინსტიტუტის საბჭომ ან მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა.

მუხლი 11. საპროცენტო შემოსავალი

1. 1-ლი და მე-2 სტადიისთვის საპროცენტო შემოსავალი უნდა აღიარდეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთით რისკის პოზიციის მთლიანი ღირებულებიდან (რომელიც არის რისკის პოზიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვით კორექტირებამდე).

- მე-3 სტადიის რისკის პოზიციებისათვის, სესხის თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობების მიხედვით საპროცენტო შემოსავლის აღიარება უნდა შეწყდეს. საპროცენტო შემოსავალი მე-3 სტადიის სესხისთვის უნდა შეფასდეს, მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების საფუძველზე სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თავდაპირველი გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოქმნილი დღევანდელი ღირებულების ცვლილებები, უნდა აისახოს მიმდინარე პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შემდეგნაირად: დღევანდელი ღირებულების ზრდა რომელიც დაკავშირებულია დროის გასვლასთან უნდა აისახოს, როგორც საპროცენტო შემოსავალი და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ცვლილებების დღევანდელი ღირებულება უნდა აისახოს როგორც სესხების გაუფასურების ზარალის ზრდა ან შემცირება.

მუხლი 12. ცვლილებები

- ფასს 9-ის 5.4.3 პუნქტის მიხედვით, როდესაც ხდება (ნებისმიერი მიზეზით) რისკის პოზიციის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლილება და ცვლილება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, რისკის პოზიციის მთლიანი (ბრუტო) ღირებულება უნდა გადაანგარიშდეს შეცვლილი ფულადი ნაკადების და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. სხვაობა შეცვლილ მთლიან (ბრუტო) ღირებულებასა და შეუცვლელ მთლიან (ბრუტო) ღირებულებას შორის უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როგორც მოდიფიცირების შემოსულობა/ზარალი.
- 1-ელ პუნქტში აღნიშნული ცვლილების შემოსულობა/ზარალი უნდა აღიარდეს რისკის პოზიციის არსებული ECL-ის მიუხედავად. ECL-ს გადაანგარიშება უნდა მოხდეს განცალკევებულად და ის უნდა მიეყენოს შეცვლილ მთლიან (ბრუტო) ღირებულებას. სხვაობა თავდაპირველ ECL-ს და გადაანგარიშებულ ECL-ს შორის უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში შესაბამისი დასახელებით.
- ამ მუხლის მოთხოვნების გამოყენებამ შეიძლება, გამოიწვიოს მოდიფიცირების შემოსულობის/ზარალის და ECL-ს ხარჯის/სარგებელის საპირისპირო ნიშნებით არსებობა; თუმცა, მათი ჯამი ყოველთვის რისკის პოზიციის წმინდა საბალანსო ღირებულების ცვლილების ტოლი უნდა იყოს.

4. მე-2 ან მე-3 სტადიის რისკის პოზიციების მოდიფიცირება (რომელიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას) ავტომატურად არ გულისხმობს, რომ მოდიფიცირებული რისკის პოზიცია აკმაყოფილებს, შესაბამისად, 1-ლი ან 1-ლი/მე-2 სტადიის რისკის პოზიციად კლასიფიცირებისთვის საჭირო კრიტერიუმებს. მხოლოდ ისეთმა მოდიფიცირებებმა, შესაძლოა, გამოიწვიონ კლასიფიცირების ასეთი ცვლილებები, რომელთა შედეგადაც რეალურად მცირდება რისკის პოზიციის საკრედიტო რისკი.

მუხლი 13. ჩამოწერები

1. ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს, რომ გაუფასურებული რისკის პოზიცია ან მისი ნაწილი ჩამოიწეროს, როდესაც არ არსებობს მისი ანაზღაურების გონივრული მოლოდინი (ფასს 9, პუნქტი 5.4.4).
2. რისკის პოზიცია უნდა ჩამოიწეროს როდესაც:
 - ა) სამართლებრივად არ არის აღსრულებადი თანხის (ან მისი ნაწილის) ანაზღაურება:
 - i. უზრუნველყოფის გაყიდვის ან დასაკუთრების გზით, და
 - ii. მსესხებლისგან ან ნებისმიერი მესამე მხარისგან;
 - ბ) სამართლებრივად შესაძლებელია თანხის ანაზღაურება მსესხებლისგან ან მესამე მხარისგან, მაგრამ ამის მოხდენის ალბათობა ძალიან მცირეა.
3. საცალო პორტფელისთვის შეიძლება აუცილებელი იყოს სტატისტიკური ანალიზი ჩამოწერის სათანადო პერიოდის იდენტიფიცირებისთვის. მაგალითად, შეუსაბამო იქნება მთლიანი (ბრუტო) ღირებულება შენარჩუნდეს 2 წლით ვადაგადაცილებული საცალო რისკის პოზიციისთვის, რომელთან მიმართებაშიც სტატისტიკურმა ანალიზმა უჩვენა, რომ დეფოლტიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ რისკის პოზიციის ამოღების ალბათობა უკიდურესად დაბალია.
4. ამ მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა გაამყდავონ რისკის პოზიციის სახელშეკრულებო და ისე გადაუხდელი ნაწილი, რომელიც ჩამოიწერა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. განმარტებითი შენიშვნის გამყდავნების დონე უნდა

შესაბამებოდეს საკრედიტო ზარალთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციის გამჟღავნების დონეს. აგრეთვე უნდა გამჟღავნდეს შესადარისი ინფორმაცია.

5. ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი დოკუმენტირება ჩამოწერის პოლიტიკასთან დაკავშირებით. ჩამოწერის პოლიტიკა და მასში ცვლილებები არ უნდა იქნას გამოყენებული პორტფელის ხარისხის ხელოვნურად გაუმჯობესებისათვის. პოლიტიკაში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცვლილება იწვევს უკეთეს შეფასებას გაუფასურებული რისკის პოზიციების ანაზღაურებასთან დაკავშირებით (ეს შეიძლება იყოს შემთხვევა, მაგალითად, როდესაც ხელმისაწვდომი გახდა მონაცემების ახალი მუდმივი წყარო ან მოხდა პოლიტიკის რაიმე სპეციფიკური ნაკლოვანების იდენტიფიცირება).

მუხლი 14. გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები

1. ფინანსურმა ინსტიტუტებმა თითოეული სასესხო აქტივების პორტფელისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნონ მათი მაპროვოცირებელი მოვლენები. ასეთი განმარტებითი შენიშვნები უნდა იყოს საკმარისად დეტალური და არ უნდა შემოიფარგლოს აღრიცხვის სტანდარტიდან აღებული ზოგადი მაპროვოცირებელი მოვლენებით.
2. ფინანსურმა ინსტიტუტებმა თავიანთ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნონ ზღვრები ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციებისათვის და დაკავშირებული ინდივიდუალური ან ჯგუფური საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგია, მათ შორის რისკის პოზიციების საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფების მეთოდოლოგია. განმარტებითი შენიშვნები არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ აღრიცხვის სტანდარტიდან აღებული ზოგადი ფორმულირებებით.
3. ზარალის რეზერვის გაანგარიშებასთან დაკავშირებული მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები უნდა გამჟღავნდეს ფინანსურ ანგარიშგებაში. მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ, გამკვირვალედ დაინახონ მსჯელობები, დაშვებები, შეფასებების ახსნა-განმარტებები და ასეთი საკვანძო მსჯელობების, შეფასებების და დაშვებების გავლენა ზარალის რეზერვზე.